TEZAUR LITURGIC

17 OCTOMBRIE

SLUJBA SF.IERARH IOSIF DJANDIERI, PATRIARHUL GEORGIEI

TBILISI,2000

სადღესასწაულო წეს-განგება წმიდისა მამისა ჩვენისა იოსებ კათალიკოსისა, სასწაულთმოქმედისა

დიდმწუხრსაზედა

_`მოვედითთაყვანის - ვსცეთ~- იგალობება.

_`აკურთხევსსულიჩემისულიუფალსა~(103 ფსალმუნი) - იგალობება.

_`ნეტარარსკაცი~- I კანონისI ანტიფონი.

_,,უფალოღაღად - ვჰყავ~(იგალობებაV ჴმაზე).

-წმ. მღვდელმთავრისაიოსებისა. - მუხლი 8.

წმიდათა შორის საკჳრველო მღდელთმთავარო, და-
რად-ემკჳდრა შენ თანა მადლი ღმრთისად, მოგაძულა
შენ საწუთოდსა დიდებად, და შეგაყუარა რად სიმდაბლჱ
და სიწმიდჱ, ლოცვად ღმობიერი, მღვძარებად და ზე-
დგომად ჴელგანპყრობით უჴორცოთა მიმსგავსებული,
აღიწიე სრულსა სისრულესა სათნოებათასა, და
განასხმიდი სულთა უკეთურთა და განჰკურნებდი
სნეულთა, აწ გვიოხე ქრისტჱს მიმართ და გჳთხოვე,
ღირსო იოსებ, გარდამოვლინებად ეკლესიათა
ერთობად, მშვიდობად და დიდი წყალობად.

წმიდათა შორის საკჳრველო დიდო მღდელთმთავარო
იოსებ, იყავ რად მონაზონებისა მოყუარჱ, ძლითღა

გარწმუნეს, ნეტარო, და მღვდელმთავრად დაგადგინეს საეპიკოპოსოსა რუსთველისასა, ხოლო შეუდეგ რაჲ ღვაწლსა მას მწყემსობითსა, ესრეთ წარემატე, ვითარმედ მხარწ იგი მდინარის სახედ აღავსნე ჭეშმარიტითა მოძღურებითა, და მორწყნე გულნი უმეცართანი და მოიყვანნე ღმრთის მეცნიერებად. აწ გვიოხე ქრისტწს მიმართ და გკთხოვე, ღირსო იოსებ, გარდამოვლინებად ეკლესიათა ერთობაჲ, მშვიდობაჲ და დიდი წყალობაჲ.

წმიდათა შორის საკკრველო მღდელთმთავარო იოსებ, მსგავს იქმენ შენ სათნოებითა ქრისტეს ღმრთისა მოციქულთა, და გამოსჩნდი რაჲ სუეტად და სიმტკიცედ სარწმუნოებისა, მოგემადლა ღმრთისა მიერ ნიჭი სასწაულთქმედებისაჲ, და მისცემ კუერნებასა, რომელნი ითხოვენ სასოებითა, აწ გვიოხე ქრისტწს მიმართ და გკთხოვე, ღირსო იოსებ, გარდამოვლინებად ეკლესიათა ერთობაჲ, მშვიდობაჲ და დიდი წყალობაჲ.

წმიდათა შორის საკკრველო მღდელთმთავარო, მადლი საკკრველებათაჲ ნიჭად მიიღე განკურნებად სენთა და სალმობათა, და იხილე რაჲ დიაკონი შენი მოწყლული სასიკუდინწსა სენისაგან, იწყლა გული შენი თანალმობითა, და სენაკსა თკსსა მჴურვალედ აღავლენდი ლოცვასა ღმრთისა მიმართ და ევედრებოდი ჴსნასა მისსა, გარნა ევლტოდი რაჲ

კაცობრივსა დიდებასა, კუერთხი შენი შთააგდე ცეცხლსა და ნაცარი მისი აღლესე რაჲ წყლითა, გარდასახე ნიში ჯვარისაჲ და მიეც სნეულსა, და აჰა, მსწრაფ დაცხრა სალმობაჲ მისი და შემდგომად სამისა დღისა სრულიად განიკურნა. აწ ჩუენცა გვიოხე ქრისტჱს მიმართ და გვითხოვე, ღირსო იოსებ, გარდამოვლინებად ეკლესიათა ერთობაჲ, მშვიდობაჲ და დიდი წყალობაჲ.

წმიდათა შორის საკჳრველო მღდელთმთავარო, ვითარცა მეფეთა ისრაელისასა მოუვლენდა უფალი ჟამითი-ჟამად წინასწარმეტყუელთა სიქადულად მათდა, ზღუდედ შჯულისა და შუამდგომელად წინაშე მისსა, ეგრეთცა გამოგაჩინა შენ ბაგრატოვანთა სიქადულად, საკჳრველი ეგე დიდებული, ღმერთშემოსილი მამაჲ და ნეტარი მოღუაწჱ, და დაგადგინეს რაჲ კათალიკოსად საქართველოჲსა, ერისა ჩუენისათჳს იღუწიდი სულიერად წინაშე ღმრთისა, ჴსნად განსაცდელთაგან და განრინებად ყოვლისაგან ვნებისა, აწ გვიოხე ქრისტჱს მიმართ და გვითხოვე, ღირსო იოსებ, გარდამოვლინებად ეკლესიათა ერთობაჲ, მშვიდობაჲ და დიდი წყალობაჲ.

სხუაჲდასდებელი(ჴმაჲ 2) ეჰა გჳრგჳნნო...

ვითარიმე ქებისა გჳრგჳნი შეუთხზნათ ქართველთა ეკლესიისა სიმტკიცესა და ყოველთა

განმაბრწყინვებელსა სწავლითა, მწვალებელთა თვალუხუავად მამხილებელსა და ყოველთა შუამდგომელსა და შემწესა, ჭირვეულთა ნუგეშინისმცემელსა და განსაცდელსა შინა მყოფთა შესავედრებელსა, კეთილმსახურებისა სუეტსა, მორწმუნეთა წინამბრძოლსა, დიდსა იოსებს, მამათმთავარსა უბიწოსა, რომლისა მიერ აღძრვანი მტერთანი ქრისტემან დაამხუნა, რომელსა აქუს დიდი წყალობაჲ.

ვითარითა ქებისა საგალობელითა უგალობდეთ მსგავსად ღმრთივბრწყინვალისა ვარსკულავისა განბრწყინვებულსა, და ნერგსა სამოთხისასა, ნაყოფისა კეთილისა გამომღებელსა, დიდსა შემწესა და მოძღუარსა იოსებ მღვდელთმთავარსა, ბრწყინვალებასა საღმრთოჲსა სიყუარულისასა და განმანათლებელსა ერისა ჩუენისასა; სუეტსა შეურყეველო მოთმინებისასა და ყოველთა უკეთურთა და უდებთა მარცხუენელსა, რომლისათჳსცა აღძრვანი მათნი ქრისტემან დაამხუნა, რომელსა აქუს დიდი წყალობაჲ.

ვითარითა ქებისა გალობითა უგალობდეთ სიმტკიცესა და ძელსა ეკლესიისასა; ლამპარსა ყოვლადბრწყინვალესა და მნათობსა ყოვლისა საქართველოჲსასა; მწყემსსა კეთილსა და მოძღუარსა ივერიელთასა, რომელი ვითარცა ორღანოჲ,

აღმოსთქუამდა სწავლათა ტკბილთა, და განაბრწყინვა რაჲ ჟამნი თჳსნი ძლიერად მოღუაწებითა, სიგლახაკისა მიერ სიმდიდრჱ დაულევნელი სასუფეველისაჲ ჰპოვა ზეცათა შინა, რომლისა მიერ აღძრვანი მტერთანი ქრისტემან დაამხუნა, რომელსა აქუს დიდი წყალობაჲ.

,,დიდებაჲმამასადაძესადაწმიდასასულსა”.

დღესასწაულობს ქართველთა ეკლესიაჲ ჴსენებასა შენსა და გჳწესს შესხმად ღუაწლისა შენისა, ეკლესიისა შუენებაო იოსებ, საკჳრველო, ანგელოზთა თანა შეერთებულო ტაძარო საიდუმლოთაო, უფსკრულო გულისჴმისყოფისაო, მხილველო გამოუთქმელთაო, მამაო მამათაო დ მღდელთმოძღვარო კეთილმსახურთაო, სიქადულო მონაზონთაო და წინამძღუარო მართლმადიდებელთაო, რომელი წინაშე ყოვლადწმიდისა სამებისა იხარებ მრავლითა ბრწყინვალებითა განათლებული და შემწე ხარ მვედრებელთა შენთათჳს, გვიოხე აწ ქრისტჱს მიმართ და გჳთხოვე, ღირსო, გარდამოვლინებად ეკლესიათა ერთობაჲ, მშვიდობაჲ და დიდი წყალობაჲ. ***(ჴმაჲ 6).***

,,აწდამარადისდაუკუნითიუკუნისამდე, ამინ”.

ვინ არა გნატრიდეს შენ ყოვლადწმიდაო ქალწულო, ვინ არა უგალობდეს უხრწნელსა შობასა შენსა, რამეთუ რომელი იგი უჟამოდ მამისაგან გამობრწყინდა, ძჱ

მხოლოდშობილი, იგივე შენგან უბიწოჲსა გამოვიდა გამოუთქმელად ჴორცშესხმული, ღმერთი იყო ბუნებით და ჩუენთჳს კაც-იქმნა წყალობით. არა ორებად პირთასა განიკუეთა, არამედ ორითა ბუნებითა შეურევნელად საცნაურ-იქმნა. მას ევედრე, პატიოსანო და ყოვლადსანატრელო, ცხორებისათვის სულთა ჩუენთასა. ***(ჴმაჲ 6).***

- შესვლასაცეცხლურით.

- წარდგომადღისა

- საწინაწარმეტყველო- 3 საკითხავი მღვდელმთავრისა.

- ,,**ლიტსაზედადასდებელი”** ტაძრისა - **1** მუხლი.

- ესრეთწმ.იოსებისა.

ესე ღირსი ჴსენებისაჲ, საკჳრველი და ყოვლად ქებული მღვდელთმთავარი ჩუენი აღმოეცენე რაჲ მხარესა მას კახეთისასა, შვილი წარჩინებულთა მათ თავადთაგანი, სიყრმითგან იქცეოდი ყოვლითა სიმდაბლითა და მოღუაწებითა, და ევლტოდი რაჲ პატივთა სოფლისათა, შეიმოსე სქემაჲ ანგელოზებრივი დოდოს სავანესა და მუნ იღუწიდი სადიდებელად ღმრთისა და განსანათლებლად ერისა შენისა. აწ დაამშჳდე გული ჩემი სოფლისა ღელვათაგან შერყეული და შეგინებული და აღმავსე მღჳძარებითა საღმრთოჲთა.

ზღუდედ სჯულისა და ხატად სიწმიდისად მოგიგო შენ ღმრთისმოყუარემან მეფემან ქართველთამან თეიმურაზ ბრწყინვალებისათჳს ცხორებისა შენისა, და მრავალგზის ვედრებითა გარწმუნა, რაჲთა აღგელო უმძიმესი იგი ჯუარი კათალიკოსობისაჲ, და დაგამტკიცეს რაჲ მაღალსა მას საყდარსა ზედა ზედა, ყოველნი იკურთხნეს შენ მიერ და გნატრიდენ, ვითარცა ჭეშმარიტად მართლმადიდებელსა მამათმთავარსა და წინამძღუარსა.

ვითარ ბრწყინვალე ვარსკულავი აღმოუბრწყინდა ბნელსა შინა მწვალებლობისასა შეცთომილთა სულთა და დაუღამებელისა ნათლისა მიმართ წინამძღუარ ექმენ მათ, ხოლო უმდიდრესითა მადლითა ღმრთისაჲთა აღსავსე ლოცვაჲ შენი და სიტყუაჲ და სწავლაჲ ექმნა საჭეთმპყრობელად და მმართებელ მეფესა და მთავართა, და სამღდელოთა და ერთა, რამეთუ ყოველთა მოუწოდე მეცნიერებად და დიდებად ღმრთისა და გამოჩნდი კანონად მღდელთმთავართა და საღმრთოჲ სიხარული მოჰფინე ივერთა ეკლესიასა.

უბრალოჲ ცხორებაჲ შენი და წესისა სიმარტივე და სიწმიდჱ და მისსა მიმართ საკუთრებაჲ იხილა რაჲ ღმერთმან, იოსებ, წარჩინებულ გყო ფრიად და მოგანიჭა საყდარი მღდელმოძღურებისა, და იქმენ რაჲ

სარწმუნო განმგებელ, ღირსო, განამტკიცებდი მართლმადიდებელთა აღმსაარებლობასა და გარეგან ცხოვართაჲთა მოსილთა და შინაგან მგელ-ღმრთისმსახურთა დაამჴობდი და განიოტებდი და შერისხავდი სამშობლოჲსა ქუეყანისა დამაქცევართა და მამულისა მაოხართა.

უბიწოებითა განჰვლე საწუთროჲ, ვითარცა ანგელოზმან ღმრთისამან, და მარადის ილოცავნ მისა მიმართ, რაჲთა დასცხრენ აღძრვანი მწვალებელთანი სამწყსოთაგან ქრისტჱსთა, და ურიცხვი სული იჴსენ დანთქმისაგან ცოდვათასა, ეგრეთვე აწ განაბრძვნე მთავარნი და მმართველნი ჩუენნი და მშჳდობით შეზღუდენ მეოხებითა ღმრთისმშობელისაჲთა, რაჲთამცა ვვიდოდინ გზათა სიმართლისა და ჭეშმარიტებისათა, და გნატრიდენ შენ, ვითარცა დიდსა მღდელთმთავარსა.

ზღუდედ საღმრთოდ, სიმტკიცედ და კეთილად შესავედრებელად მოგიგო შენ ერმან ჩუენმან, ღმერთშემოსილო იოსებ საკჳრველთმოქმედო, რამეთუ უჩუენებდი გზასა მას მართალსა და საცხოვნებელსა, და იხსნიდი რაჲ წარწყმედელისა უდებებისაგან, საღმრთოდ განსწავლიდი ჭეშმარიტთა მწყემსთა და დიდთა მნათობთა ეკლესიისათა, ხოლო საბა ნინოწმიდელისა და ზაქარია - მეფის მოძღურისა თანა

შემწე და თანამზრახველ ექმენ კეთილმსახურსა მეფესა თეიმურაზს, ფრიად იღუწიდით რაჲ განსანათლებლად ივერთ ერისა, ამისთჳსცა ვიხარებთ და ვიქადით თქუენთჳს და განვსცხრებით სიხარულითა.

,,დიდებაჲმამასადაძესადაწმიდასასულსა”.

სიტყუათა სულიერთა და წესთა შჯულისათა ასწავებდი რაჲ ერსა შენსა, უგუნურთა მიერ შერყვნილთა სწავლებათა განმართავდი, და აღხოცდი რაჲ ცრუმორწმუნეობისა საცთურსა, ყოველთა განამტკიცებდი წმიდათა მამათა მიერ გარდამოცემულსა მართლმადიდებლობასა შინა, და საღმრთოთა სწავლათა განფენდი ყოველსა ქუეყანასა, ხოლო დიდისა ღუაწლისა შენისა მხილველთა და თანადამსწრეთა განაცვიფრებდი შენ, კეთილმსახურებისა ხატო ბრწყინვალეო, მამათმთავარო იოსებ, და აღძრვიდი ქებად შენდა და დიდებად ღმრთისა.

,,აწდამარადისდაუკუნითიუკუნისამდე, ამინ”.

გიხაროდენ,ქალწულო, ღრუბელო და ეტლო სიტყჳსაო, გიხაროდენ, უზესთაეს გონებისა და გარეგან საზღუარისა, წმიდაო ღმრთისა საყოფელო, გიხაროდენ, უქორწინებელო სულითა ზესთა ღმერთთასა მიდგომილო, გიხაროდენ, თჳნიერ თესლისა მშობელო,

და თჳნიერ ხრწნილებისა მაწოვნებელო, გიხაროდენ, მარადის ქალწულო, კურთხეულო.

- ,,სტიქარონსაზედადასდებელი”.*(ჴმაჲ 8).*

სიტყჳთა და საქმით ადიდე ღმერთი დიდებული და მცნებათა მისთა იწურთიდ მარადის, დღისი და ღამით გონებითა წმიდითა, და ვითარცა სუეტი ნათლისაჲ, ბრწყინვალე ლოცვაჲ შენი აღიწეოდა ზეცას, ღირსო მამაო იოსებ, გჳთხოვე ქრისტჱსგან დიდი წყალობაჲ.

მუხლი.,,ისმინეთ ესე ყოველთა წარმართთა და ყურადიღეთ ყოველთა რომელნი ამკვიდრებულ ხართ სოფელსა”.

მოაკუდინე შენ გულისთქმაჲ და განაცხოველე სიწმიდჱ, და შეიყუარე წმიდა ქალწულებაჲ, და ვითარცა ნათელი, შთაიცუ სიწმიდჱ, და ვითარცა გურიტი სიმშჳდით ჰმონებდი ქრისტესა გონებითა უბიწოჲთა, სანატრელო იოსებ, შემკული საღმრთოჲთა გულისჴმის-ყოფითა.

მუხლი.,,პირი ჩემი იტყოდეს სიბრძნესა და ზრახვანიგულისა ჩემისანი გულისხმისყოფასა”.

შეგამკო ღმერთმან, ნათლითა სასწაულთაჲთა და მადლთა საღმრთოჲთა ბრწყინვალებითა, სამ-გზის სანატრელო მღდელთმთავარო იოსებ, და აღავსო სული

შენი სიბრძნითა, და ვითარცა წყაროჲ ცხოველი და თუალი დაუწყუედელი აღმოაცენებ მოძღურებათა საღმრთოთა, აღორძინებისათჳს ქრისტჱს სამწყსოსაჲთა.

,,დიდებაჲმამასადაძესადაწმიდასასულსა”.

სიმრავლჱ მღდელთმთავართაჲ წინამძღურად აღგიარებს, წმიდაო, რამეთუ აღივსებიან საღმრთოჲთა მით მადლთა, რომელ დაუტევე, და იშუებენ საჴსენებელსა შენსა, თანამოსაგრეო წმიდათა მამათაო, მათ თანა ევედრე ქრისტესა ღმერთსა, რაჲთა შეიწყალნეს მან სულნი ჩუენნი ოხითა შენითა.

,,აწდამარადის, დაუკუნითიუკუნისამდე, ამინ”.

უსძლოო ქალწულო, რომელმან ღმერთი მუცლად-იღე გამოუთქმელად, დედაო ღმრთისა მაღლისაო, ვედრებაჲ მონათა შენთაჲ შეიწირე, ყოვლადუბიწოო, რომელი მისცემ ყოველთა შენდობასა ცოდვათასა, ჩუენიცა ვედრებაჲ შეიწირე და გჳთხოვე ჩუენ დიდი წყალობაჲ.

-`**აწგანუტევე~.**

-შემდგომად **~მამაოჩვენო~**-სი:

-**ტროპარი-მღვდელმთავრისა:** კანონად სარწმუნოებისა და ხატად სიმშჳდისა და მოძღურად მარხვისა გყო შენ ქრისტემან სამწყსოსა შენისათჳს ჭეშმარიტებით,

ამისთჳსცა მოიგე სიმდაბლითა სიმაღლე და სიგლახაკითა სიმდიდრე, წმიდაო მღდელმთავარო იოსებ, ევედრე ქრისტესა ღმერთსა შეწყალებად სულთა ჩუენთათჳს.**- 2 გზის.**

-ღვთისმშობელოქალწულო - 1 გზის.

-პურისკურთხევა.

- `ღმერთიუფალი~(იგალობებაIV ჴმაზე).

- ტროპარიმღვდელმთავრისა:,,კანონად სარწმუნოებისა და ხატად სიმშჳდისა.. **- 2 გზის.**

- `დიდება~ `აწდა~- ღმრთისმშობლისა,,აღდგომისგანსატევებელი~(ტროპარი ხმის მიხედვით): - რომელი საუკუნითგან დაფარულ-იყო, და ანგელოზთაგან უცნაურ საიდუმლო, ღმრთისმშობელო, შენ მიერ კაცთა გამოეცხადა, ღმერთი შეურევნელად შენგან განჴორციელდა, ჯუარცმაჲ ნებსით თავს იდუა, რომლისათჳსცა აღადგინა პირველდაძინებულნი, და იჴსნა მან სიკუდილისაგან სულნი ჩუენნი.

- შემდგომად I ფსალმუნებისა, წარდგომა.ჴმაჲ 1.

ცხორებაჲ კეთილმსახურებით ქუეყანასა ზედა აღასრულე, ყოვლად ნეტარო იოსებ მღდელთმოძღვარო, და გამოსჩნდი კანონად

მონაზონთა და ბრწყინვალე მნათობად ყოვლისა სოფლისა, აწ გამოაბრწყინვე გულსა ჩუენსა ნათელი ჭეშმარიტი და მეოხ-გუეყავ მაქებელთა შენთა დაუცხრომელად.

,,დიდებაჲმამასადაძესადაწმიდასასულსა, აწდამარადის, დაუკუნითიუკუნისამდე, ამინ”.

განეცხადების საიდუმლოჲ საუკუნითგან დაფარული მთავარანგელოზსა, მითხრობად ძრწოლით ქალწულისა მიმართ, ხოლო იგი ახარებს კურთხეულსა დედათა შორის, რომლისა-თანა ვჴმობდეთ: გიხაროდენ, მიმადლებულო, უფალი შენ თანა.

- შემდგომად II ფსალმუნებისა, წარდგომა.ჴმაჲ 4.

იქების მარადის მართლმადიდებელთა ქრისტჱსმოყუარეთა მიერ, საღმრთონი სათნოვებანი შენნი, სიწმიდე, სიმშვიდე, და სიმდაბლჱ და გლახაკთა მოწყალებაჲ. აწ ჩუენცა პატივსა გცემთ და გაქებთ შენ, ახოვან ქმნილნი ღუაწლითა შენითა და შრომათა. **2-გზის.**

,,დიდებაჲმამასადაძესადაწმიდასასულსა, აწდამარადის, დაუკუნითიუკუნისამდე, ამინ”.

ყოველთა შემოქმედი ღმერთი და დამბადებელი, ყოვლადუბიწოო, წმიდაო, საღმრთოჲსა სულისა მიერ

მუცლად იღე და უხრწნელად ჰშევ, რომლისათჳსცა გადიდებთ შენ და გიგალობთ, ქალწულო, ვითარცა ყოველთა მეუფისა პალატსა და სოფლისა შემწესა.

_,,სადიდებელი~ მე-19 კანონი(134-ედა 135-ეფსალმუნები).

_,,გადიდებსა~ მღვდელმთავრისა(ფსალმუნთა გამოკრებილი მუხლებით - დავითნიდან).

_,,წარდგომა~შემდგომად,,სადიდებელისა~: სიბრძნე **ჴმ აᲘ8.**

უფალმან ჩუენმან იესუ ქრისტემან დაგადგინა რაᲘ მღდელთმოძღურად და განსანათლებლად ერისა ამის, დედისა თჳსისა წილხვედრისა, ლათინთა საცთურითა დაბრკოლებულისა და ერთბუნებიანთა ჰაოსიანთაგან ცთუნებულისა, მისითა მადლითა იცევდი ყოველთაგან-ვე საფრჴეთა ეშმაკისათა, რამეთუ კუერთხითა სარწმუნოებისაᲘთა განიოტე ბოროტნი მგელნი და ძალითა სამებისაᲘთა განძლიერებულმან უვნებელად დაიცევ სამწყსოᲘ შენი ტაცებათაგან მათთა, აწ ევედრე ქრისტესა ღმერთსა, ცოდვათა მოტევებისა მონიჭებად, სურვილით პატივის-მცემელთა ჴსენებისა შენისასა. **2-გზის.**

,,დიდებაᲘმამასადაძესადაწმიდასასულსა, აწდამარადის, დაუკუნითიუკუნისამდე, ამინ”.

თანა დაუსაბამოჲ სიტყუაჲ მამისაჲ, შენგან მიიღებს დასაბამსა ბუნებისა ჩუენისასა, ღმრთისმშობელო, და უჟამო შემოვალს ჟამსა შინა და სიტყუაჲ განზრქებოდის, ხოლო ძჱ ღმრთისაჲ ძედ შენდა იწოდების. ეჰა, მიუწვთომელი ესე საიდუმლოჲ, იესუ ქრისტე გუშინ და დღეს, და იგი თავადი არს უკუნისამდე.

-წარდგომა(საცისკროსახარებისა): ,,პირი ჩემი იტყოდეს სიბრძნესა, და ზრახვანი გულისა ჩემისანი გულის-ხმის ყოფასა~. ***(ᲘმაᲘ4).***

მუხლი.„ისმინეთ ესე ყოველთა წარმართთა და ყურად იღეთ ყოველთა, რომელნი დამკვიდრებულ-ხართ სოფელსა~.

-საცისკროსახარება:ცისკ. - ინ. 35 დას. (შუათგან)X, 1-9

**-`დიდებაჲ~**- `მეოხებითა წმიდათა შორის მამისა ჩვენისა იოსებ კათალიკოსისა, სასწაულთმოქმედისათა...“

**-`აწდა~** - `მეოხებითა ღვთისმშობელისათა, მოწყალეო...~

-`მიწყალემელმერთო...~(,,მცირე მიწყალე~).

-შემდგომად **50-ე** ფსალმუნისა დასდებელი.

საუნჯჱ იგი რომელი მიართუ ეკლესიასა ღმრთისასა - დაუცხრომელი ღუაწლნი და შრომანი შენი, ვითარცა ოქროჲსა სამკაულნი, ბრწყინვალედ შეუმოსიან და, ვითარცა გჳრგჳნი სამეუფოჲ, შემკული ბრწყინვალედ თუალთაგან მრავალსასყიდლისათა, დაუდგამს თავსა თჳსსა, რაჲთა ჰნათობდეს ყოველთა, რომელნიცა სიხარულითა შევლენან მას შინა, და გევედრებიან შეწევნასა.

-,,აცხოვნეღმერთოერიშენი...~

საცისკროკანონთა 9ოდა(გალობა).

- იკითხება 2 კანონი.

- I კანონი- ღმრთისმშობლისა(ძლისპირი 2-გზის)- 6 მუხლად(იხ. პარაკლიტონის ბოლოს ღმრთისმშობლის კანონები: `ეტლთა მფლობელი ფარაო...~ ან `ქუეყანასა მწყურნებსა...~).

- II კანონი- მღვდელმთავრისა (ძლისპირისგარეშე) - 8 მუხლად.(ჴმაჲ 8).

- კატავასია:რიგითი.

- `უმცირესი~- `უგალობდითუფალსა~.

გალობაჲ 1, უგალობდითსა

ძლისპირი: ეტლთა მფლობელი ფარაო დაანთქა საკჳრველთმოქმედმან კუერთხმან მოსჱსმან, რომელმან გამოსახა სახჱ ჯუარისაჲ და განუპო ზღუაჲ მეწამული და ისრაელი იჳსნა განმავალი, მეტყუელი გალობასა უფლისასა: რამეთუ დიდებით დიდებულ არს.

დიდებაჲ მსოფლიოჲ განხრწნადი დაუტევე და იწროსა მას გზასა მავალ-ჰყვენ რაჲ ფერჳნი შენნი, ფრიად განჰმდიდრდი სათნოებითა, ღირსო იოსებ, მამათმთავარო სანატრელო, და ქცევაჲ და სახელი შენი განთქუა ქუეყანასა შენსა.

წმიდაომღვდელთმთავაროიოსებ, ევედრელმერთსაჩუენთჳს.

ლოცვითა და მღვიძარებითა მაცხოვრისაგან მოიპოვე რაჲ მადლი სულისა წმიდისა, ყოველთავე ჴორციელთა შუებათა შეურაცხის-ყოფდი მარხვითა, და ლოცვითა განკაფავდი სხეულსა და ყოველთა იწროებათა მიერ დააჭნობდი და მოაუძლურებდი მძლავრებასა მისსა.

წმიდაომღვდელთმთავაროიოსებ, ევედრელმერთსაჩუენთჳს.

სიწმიდითა გულისაჲთა იქმენ რაჲ სამკჳდრებელ სულისა წმიდისა, მოგავლინა შენ ღმერთმან განსაწმედელად ეკლესიისა ჩუენისა, ღირსო, და მოგცა მადლი განსამტკიცებლად კეთილმსახურისა მეფისა. აწ

გვიოხე წინაშე ღმრთისა, დაგვიფარნეს ყოვლისაგან ვნებისა.

,,დიდებაჲმამასადაძისადაწმიდასასულსა”.

ძლიერი შური გაქუნდა, ვითარცა ელიას, რამეთუ აღეგზენ ვითარცა ცეცხლი საღმრთოჲ მწვალებელთა და წარმართთა ზედა და შესწუენ ენანი მათნი, აწ მეოხ-იქმენ ჩუენთჳს, რომელნი პატივს ვსცემთ დღესასწაულსა შენსა, წმიდაო.

,,აწდამარადის, დაუკუნითიუკუნისამდე, ამინ”.

დიდებულნი ითქუნეს შენთჳს თესლითი თესლადმდე, ქალწულო, რომელმან შეიწყნარე სიტყვაჲ ღმრთისაჲ წიაღსა შენსა და დაადგერ ქალწულად, ღმრთისმშობელო მარიამ, ამისთჳს ყოველნი გადიდებთ, რომელი შემდგომად ღმრთისა მჴსნელად ჩუენდა იპოვე, რამეთუ დიდებით დიდებულ ხარ.

გალობა 3, განძლიერდასა

ძლისპირი: შენ, დამამყარებელო კამარათა ცისათაო, უფალო, და აღმაშენებელო ეკლესიათაო, დამამტკიცენ ჩუენ სიყუარულსა შენსა, თავო ყოვლისა სიხარულისაო, და განმაძლიერებელო მორწმუნეთაო, მხოლოო, კაცთ-მოყუარე.

წმიდაომღვდელთმთავროიოსებ, ევედრელმერთსაჩუენთჳს..

ტალანტი იგი, რომელ გერწმუნა, ღმერთშემოსილო, არა დაჰფარე ქუეყანასა, არამედ განამრავლე ვითარცა სარწმუნომან მონამან და ბევრწილად მიართუ ღმერთსა, მას ევედრე აწ, რაჲთა გარე წარგუჴადოს განსაცდელნი და ეშმაკთა კუეთებანი მოსავთა შენთა.

წმიდაომღვდელთმთავროიოსებ, ევედრელმერთსაჩუენთჳს.

დაფარულსა საიდუმლოსა, ვითარცა ცხადსა ჰხედევდი, წმიდაო, და ყოველივე თქმული შენი იყო ჭეშმარიტ, მოღუაწეო და მუშაკო სათნოებისაო, აწ მოგუეც ჩუენცა გული გონიერი და ბრძენი, გულისხმის-ყოფად კეთილისა და ბოროტისა.

წმიდაომღვდელთმთავროიოსებ, ევედრელმერთსაჩუენთჳს.

ქადაგებდი რაჲ მართლმადიდებლობისა ყოვლად-უბიწოსა სარწმუნოებასა, ყოვლად ქებულო, განსწავლიდი სამწყსოსა შენსა და ასწავებდი დამარხვად მცნებათა ღმრთისათა. მას ევედრე აწ, ნეტარო ბერო, გჳსნნეს რწმენისაგან არა-ცხოველისა და ნელ-ტფილისა.

,,დიდებაჲმამასადაძესადაწმიდასასულსა”.

ღმრთივგანბრძნობილად გამოსჩნდი შენ, კურთხეულო ძალითა მაღლისაჲთა, და ენითა მით საღმრთოჲთა აღამაღლენ რაჲ გჳრგჳნი მართლ-აღმსაარებელთა, ეკლესიამან ქართველთამან, ვითარცა საუნჯე მრავალსასყიდლისაჲ, გპოვა შენ და სიხარულითა შეგიწყნარა, ღირსო.აწ და მარადის, და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

,,აწდამარადის, დაუკუნითიუკუნისამდე, ამინ”.

დაემკჳდრე წიაღსა ქალწულისასა, უფალო, და გამოუჩნდი კაცთა ჴორციელად ვითარცა სათნო იყავ და გამოაჩინე იგი ჭეშმარიტად ღმრთისმშობლად, მხოლოო კაცთმოყუარე, და შემწედ ყოველთა მორწმუნეთა.

წარდგომაჲ-ვითარცა მზჱ ბრწყინვალეჱ, ჰნათობდი რაჲ ქართველთა ეკლესიისა სამყაროსა, მამათმთავარო იოსებ, მრავალთა ამხილებდი და განსწავლიდი წყობასა მტერთა მიმართ უხილავთა და ხილულთა, და განაკრძალებდი ლოცვასა, ხოლო ბოროტად შეცთომილნი ბილწნი მწვალებელნი დაამდაბლე, რამეთუ მაღლად იტყოდენ სიცრუვესა, და აღამაღლებდი მართალსა და ჭეშმარიტსა სარწმუნოებასა მართლმადიდებელთასა. აწ მოეც მშჳდობაჲ მთავრობასა და მხედრობასა ჩუენსა

მორწმუნესა და ერნი მადიდებელნი შენნი, იკსენ უცხოთა სწავლებათა და საცთურთაგან. **2 gzis.**

გალობაჲ 4, უფალომესმასა

ძლისპირი:შენ ხარ, ქრისტე, ღმერთი ჩემი, შენ ხარ ძალი ჩემი, შენ ხარ უფალი ჩემი და სიხარული ცხორებისა ჩემისაჲ, რომელმან არა დააცალიერენ წიაღნი მამისანი და გამოუჩნდი სიმდაბლესა ჩემსა, ამისთჳსცა წინაჲსწარმეტყველისა ამბაკუმის თანა ვიტყოდით: ძალსა შენსა დიდებაჲ, კაცთმოყუარე.

წმიდაომღვდელთმთავაროიოსებ, ევედრელმერთსაჩუენთჳს.

დიდი ჭირი და იწროებაჲ მოაწიეს რაჲ ეკლესიათა და მორწმუნეთა მბრძოლთა მათ ჭეშმარიტებისათა, მრავალნი იძულებით ექსორია-ყვეს და შენცა შეუძრველად ჰგიებდი რაჲ მართალსა ზედა აღსარებასა, სულგრძელებითა დაითმენდი საღმრთოჲსა სიყუარულისა განძარცვასა და სიმდაბლითა იტვირთავდი შეურაცხებასა.

წმიდაომღვდელთმთავაროიოსებ, ევედრელმერთსაჩუენთჳს.

მშჳდობისათჳს ეკლესიისა სიმდაბლითა დაუტევე რაჲ საყდარი კათოლიკოსისა, წარხვედ ახმეტას, და

დაეყუდე რაჲ მცირესა სენაკსა ფრიად სიგლახაკესა შინა, დაშურებოდი, ვითარცა მცირწჱ მიწისმოქმედი და მუშაკობითა თჳსითა მოირეწდი რაჲ საზრდელსსა, შეჭირვებულთა მისცემდი ნაწილსა მას უმეტესსა.

წმიდაომღვდელთმთავაროიოსებ, ევედრელმერთსაჩუენთჳს.

მანქანათა ულმრთოებისათა ვერ შეუძლეს შერყევად სარწმუნოებისა შენისა სიმტკიცისა, რამეთუ არა გეშინოდა მზაკუვართა და მტყუართა სულთა, არამედ ნიშითა პატიოსანისა ჯუარისაჲთა და ლოცვითა მჴურვალითა განჴდიდი ურიცხუთა საფრჴეთა მათთა.

,,დიდებაჲმამასადაძესადაწმიდასასულსა”.

მჴურვალწჱ ლოცვაჲ შენი აღიწეოდა ზეცას, ვითარცა სუეტი ნათლისაჲ, და აჰა, ვითარი სასწაული ყო შენ თანა ღმერთმან, სანატრელო იოსებ, ლოცვითა კურნებდი სნეულთა, თუალთა აღუხელდი ბრმათა, მკელობელთა ავლენდი, უძლურთა აღადგენდი და აიოტებდი კეთილის მოძულეთა ეშმაკთა.

,,აწდამარადის, დაუკუნითიუკუნისამდე, ამინ”.

ენანი კაცთანი მოუძლურდებიან გამოთქუმად საიდუმლოჲსა შობისა შენისასა უბიწოებით,

უქორწინებელო სძალო, ხოლო სარწმუნოებითა აღგიარებენ დედად ნათლისა.

გალობაჲ 5, ღამითგანსა

ძლისპირი: ნუ სადა განმიშორენ პირისაგან შენისა, ნათელო წარუვალო, და დამფარა მე ბნელმან წყუდიადისამან განუნათლებელმან, არამედ მომხედენ და ნათელსა მცნებათა შენთასა წარჰმართე სლვაჲ ჩემი, გევედრები.

წმიდაომღვდელთმთავაროიოსებ, ევედრელმერთსაჩუენთოვს.

მოშურნედ იქეც ძუელთა მათ მამათა, მარხვითა და ღუაწლითა გაბრწყინებულთა, ნეტარო, და ყოველსა დღესა ცხორებისა შენისასა მსგავსად მათსა განჰლევდი რაჲ მოღვაწებასა და მღჳძარებასა შინა, დღითი დღე იღუწიდი სადიდებელად ღმრთისა.

წმიდაომღვდელთმთავაროიოსებ, ევედრელმერთსაჩუენთოვს.

დაღათუ ურიცხუნი საქმენი შენნი განგვაცვიფრებს, ღმერთშემოსილო იოსებ, საკჳრველო, არამედ უფროჲს გჳკჳრს სიმდაბლჱ შენი და სიყუარული ღმრთისა და მოყუასისაჲ, რამეთუ ჟამსა მას შფოთისასა შური

საღმრთოჲ მოიპოე და არცხვინე ბოროტსა მას მანქანებასა მძლავრთასა.

წმიდაომღვდელთმთავაროიოსებ, ევედრელმერთსაჩუენთჳს.

აწ ვინ აღრაცხავს ღუაწლსა მას შენსა საკჳრველსა, რამეთუ ჭეშმარიტად გამოჩნდი მმარხველთა სამკაულად და ურცხვენელ მლოცველად ღმრთისა. მას ევედრე აწ, წმიდაო, ჴსნად ჩუენდა ყოვლისაგან სენისა და განსაცდელისაგან ბოროტისა.

,,დიდებაჲმამასადაძესადაწმიდასასულსა”.

საკჳრველ არიან საიდუმლონი შენნი, ქრისტე ღმერთო, რამეთუ მოგვივლინე ჩუენ სანთელად ცეცხლმთებარედ ღირსი იოსებ, მოღუაწედ და მლოცველად მართლმადიდებელთა ქართველთათჳს, და დიდებად და სიმტკიცედ ივერიისა.

,,აწდამარადის, დაუკუნითიუკუნისამდე, ამინ”.

კადნიერებაჲ დედობრივი ძისა შენისა თანა მოგიგიეს, ყოვლად უბიწოო, შეწევნასა ჩუენსა ნუ დააცადებ მისსა მიმართ, გევედრებით, რამეთუ გაქუს შენ მისა მიმართ მეოხებაჲ და მოტევებაჲ ცოდვათაჲ ყოველთა ქრისტეანეთა.

გალობაჲ 6, ღაღადყავსა

ძლისპირი: ვედრებასა ჩემსა განვფენ უფლისა მიმართ და მას აღუარებ ბრალთა ჩემთა, რამეთუ ბოროტითა აღივსო სული ჩემი და სიმტკიცე ჩემი ჯოჯოხეთად მიიწია და იოანესებრ ვღაღადებ: აღმომიყვანე მე, ღმერთო ჩემო.

წმიდაომღვდელთმთავაროიოსებ, ევედრელმერთსაჩუენთოჳს.

იყავ რაჲ მქადაგებელი სინანულისაჲ, ვითარცა იოვანე ნათლისმცემელი, გაქუნდა შენ მოწყალებაჲ და სიმშვიდწ, ვითარცა დავითს წინაწარმეტყუელსა, და ითხოვდი რაჲ ქრისტწსგან საწუთროჲსა წილ საუკუნესა, ღირს იქმენ წმიდათა თანა სიხარულსა წარუვალსა.

წმიდაომღვდელთმთავაროიოსებ, ევედრელმერთსაჩუენთოჳს.

მოგავლინა შენ ღმერთმან ქართველთა მნათობად, ღირსო, და მოგცა მადლი ეშმაკთა ოტებად და უძლურთა კურნებად, აწ დაიფარე სამწყსოჲ შენი ყოველთაგან ვნებათა მაჭირვებელთა და ეშმაკთა საცთურთათა.

წმიდაომღვდელთმთავაროიოსებ, ევედრელმერთსაჩუენ თჳს.

მწყემსსა ცხოვართასა გპოვებთ შენ, და კეთილად მოღუაწესა მლოცველსა, ღირსად საგალობელო იოსებ, ბრწყინვალეო ნათელო მღდელობისაო, და გევედრებით: ვნებათა ტყუეობისაგან მომაქციე, ბრძენო, და მუშაკობად წარმმართე საქმეთა ნათლისათა.

,,დიდებაჲმამასადაძესადაწმიდასასულსა”.

იქების შუენიერად დღესასწაული შენი მოყუარეთა შენთა მიერ, ნეტარო იოსებ, და ანგელოზნი მგალობელთა გალობასა შესწირვენ წინაშე ღმრთისა, მას ევედრე აწ, რაჲთა დაგვიფარნეს ჩუენ მტერისა საბრჴისაგან და ძმათა მტერობისაგან.

,,აწდამარადის, დაუკუნითიუკუნისამდე, ამინ”.

განვერენით საცთურსა ცოდვათა ჩუენთასა, ვედრებითა შენითა, ღმრთისმშობელო ქალწულო, ძისა შენისა მიმართ, რომელი იშვა შენგან უზესთაეს ბუნებათა, ძჱ ღმრთისაჲ დაუსაბამოჲ.

კონდაკი - საღმრთოჲსა ქუხილისა საყჳრო სულიერო, მორწმუნეთა სიმტკიცეო და განმდევნელო წვალებისაო, სამებისა მსახურო, დიდო მღვდელმთავარო იოსებ, ანგელოზთა თანა მდგომარეო მარადის, ევედრე

ქრისტესა ღმერთსა დაუცხრომელად ჩუენ ყოველთათჳს.

იკოსი - იქადის აწ მხარჱ კახეთისაჲ, სამშობლოჲ ეგე შენი, იოსებ, საკჳრველო, რამეთუ მიერ აღმოსცენდი მწყემსი კეთილი, და წინამძღვარი განსამტკიცებლად ერისა ჩუენისა ღმრთისმსახურებასა შინა, ხოლო ეკლესიაჲ განათლდების დიდებითა შენითა და გვიწესს ყოველთა მორწმუნეთა, რაჲთა გნატრიდეთ შენ, მოშურნესა მჴურვალესა და ვნებათა თჳთმპყრობელსა, გლახაკთა წინა-მდგომელსა, და ცოდვილთა სულთა მძღუანსა, წმიდასა კათალიკოსსა იოსებსა, რამეთუ იქმენ შენ მსხუერპლ საღმრთოჲსა ქრისტეს საკურთხეველისა, ღირსო, და კადნიერად მეოხ-ხარ ჩუენ ყოველთათჳს.

გალობაჲ 7, კურთხეულარსა

ძლისპირი: ყრმანი ებრაელნი სახუმილსა შინა ვიდოდეს ცეცხლსა ზედა კადნიერებით და შეცურეულნი ღაღადებდეს და იტყოდეს: კურთხეულ ხარ შენ, უფალო ღმერთო, უკუნისამდე.

წმიდაომღვდელთმთავაროიოსებ, ეველრელმერთსაჩუენ თჳს.

განუზომელი მოწყალებაჲ და უაღრესი სიტკბოებაჲ და სიმდაბლჱ გექმნა წინამძღვრად გზასა ჭეშმარიტსა, და

ყოველთა ასწავებდი ქრისტჱს მსგავსად, რაჲთა განუყონ უხუებით გლახაკთა და შეეწიონ ნაკლულევანთა.

წმიდაიმღვდელთმთავაროიოსებ, ევედრელმერთსაჩუენთჳს.

ღმრთივგანბრძნობილსა გეუწყებოდეს რაჲ ძალნი საღმრთონი და განანათლებდ ერთა, ეგრეთვე აწ მიფენითა მადლისა შენისაჲთა განმწმიდე და განმანათლე და ძღუნად მიმიპყარ ზეცათა მეუფესა.

წმიდაიმღვდელთმთავაროიოსებ, ევედრელმერთსაჩუენთჳს.

კეთილ მიმთუალველ ექმნა უფალი ვედრებათა შენთა ცურებითა წჳმისაჲთა და კეთილ-შეზავებითა ჰაერთაჲსა მიჰმადლებდა ნაყოფიერებასა ქუეყანასა. აწ წყალობითა მოგუპედენ და ზეცით მაცოცხლებელი ცუარი გარდამოგვივლინე ჟამსა ხუატისასა.

,,დიდებაჲმამასადაძესადაწმიდასასულსა”.

ვითარცა ოდესმე ისმენდა ღმერთი ელიასას, ეგრეთვე ლოცვითა შენითა არცა მოაკლდა წვიმაჲ ვენახთა და არცა დაატყდა სეტყვაჲ მავნებელი, რაჲსთჳსცა განითქვა სალჳრველმოქმედებაჲ შენი.

,,აწდამარადის, დაუკუნითიუკუნისამდე, ამინ”.

გიხაროდენ შენ, ასულო ადამისო, გიხაროდენ, სძალო ღმრთისაო, გიხაროდენ, მშობელო მაცხოვრისაო, რომელმან დაიტიე შემოქმედი შენი, მეოხ-გვეყავ მარადის.

გალობაჲ 8, აკურთხევდითსა

ძლისპირი: შჳიდ-წილ აღაგზნა საჴუმილი მძლავრმან ქალდეველმან ყრმათათჳს გულისწყრომით, რისხვითა ძალითა მაღლისაჲთა იხილნა უვნებელად დაცულნი ცეცხლისაგან განურყუნელად, დამბადებელისა მიმართ და მჴსნელისა ღაღად-ყო: `აკურთხევდით ყრმანი და მღდელნი უგალობდით, ერნი უფროსად ამაღლებდით მას უკუნისამდე~.

წმიდაომღვდელთმთავაროიოსებ, ეველრელმერთსაჩუენ თჳს.

ყოვლადვე არასადა შეაპყარ, პატიოსანო მამაო, თავი თჳსი შუებასა და განცხრომასა, არამედ შეჭურვილ იყავნ მარხვითა და ლოცვითა და მღვიძარებითა, და შემოსითა ძაძისაჲთა და ხმელსა ზედა წოლითა და სხვითა ბევრეულითა ღუაწლითა, მარადის იხსენებდი საშინელსა მას სასჯელსა და შიშითა მით განაკრძალებდი სულსა თჳსსა.

წმიდაომღვდელთმთავაროიოსებ, ეველრელმერთსაჩუენ თჳს.

შრომანი შენნი და სიწრფოებანი გულისანი იხილნა რაჲ მაღალმან, მოხედვა-ყო წყალობითა და სულით და ჴორცით გადიდა, აწ ჴსენებისა შენისა აღმასრულებელთა ჴსნაჲ გჳთხოვე შეცოდებათა, ვითარცა წინაშე ღმრთისა მდგომარემან, ხოლო დაცემული ესე და დამდაბლებული ქართველთა ერი აღადგინე მსახურებად ღმრთისა და მამულისა მეოხებითა შენითა.

წმიდაომღვდელთმთავაროიოსებ, ევედრელმერთსაჩუენთჳს.

გემცნო რაჲ დღჱ საწუთოჲთგან განსლვისა შენისაჲ, ილოცვიდი და სიბერითა სრულქმნილმან სული თჳსი შეჰვედრე ღმერთსა, და ვითარცა საკჳრველთმოქმედი მამაჲ, და ღირსი მღდელმთავარი შეერთე რაჲ სიმრავლესა მას წმიდათასა, გაქუს მადლი ოხისა და შეწევნისა ჩუენისაჲ, ხოლო სამარხოჲ შენი იქმნა უძლურთათჳს, ვითარცა საუნჯჱ მადლისაჲ და წყაროჲ კურნებათაჲ.

,,დიდებაჲმამასადაძესადაწმიდასასულსა”.

კაცსა ზეცისასა და ანგელოზსა ქუეყანისასა, სარწმუნოებისა ჭეშმარიტსა ქადაგსა სარწმუნოსა გიგალობთ და გევედრებით: გამოუთქმელითა ძალითა შენითა მარადღე თანამავალ გუექმენ, წმიდაო, და

განსდევნე მტერნი და მბრძოლნი ჩუენნი, და მოაუძლურე მწვალებელნი, ხოლო ჩუენ წარმწყმედელთა გზათაგან განგვარინნე და გუასწავე გზაჲ უცთომელი, ზეცად აღმყუანებელი.

,,აწდამარადის, დაუკუნითიუკუნისამდე, ამინ”.

სამთა მათ ყრმათა ბაბილონს საჴუმილსა შინა სამებასა თაყუანის-სცეს და შეურაცხ-ყვეს ხატი იგი ოქროჲსაჲ, და ცუარითა სხურებულნი გალობითა ღაღადებდეს: ყოველნი საქმენი აკურთხევდით დღეს ღმერთსა და უფალსა, უგალობდით და ამაღლებდით მას უკუნისამდე.

- ვაქებთ, ვაკურთხევთ, თაყუანის-ვსცემთუფალსა, უგალობთდააღვამაღლებთმასუკუნისა მდე.

- შემდგომად`აკურთხევდითსა~(VIII გალობისა):- `უპატიოსნესსა~.

გალობაჲ 9, ადიდებდითსა

ძლისპირი:შენ, რომელი უქორწინებელ ხარ, დედაო უსძლოო, შენ, რომელმან უზესთაეს ბუნებათა შევ დაუსაბამო, რომელ-არს შემოქმედი ღმერთი ჭეშმარიტი, გალობითა დაუდუმებელითა გადიდებთ.

წმიდაომღვდელთმთავაროიოსებ,ევედრეღმერთსაჩუენთჳს.

ქრისტემან მოგცა შენ მადლი სასწაულთაცა საქმედ და ესრეთ პატივ გცა საწუთროსა ამას, ხოლო შემდგომად სიკუდილისა შენისა უფროჲს იდიდე წინაშე მისსა, პატივცემული მამათმთავართა თანა და ღირსთა, ხოლო ჩუენ საჴსენებელად და საუკუნოდ ნეტარებაჲ და ქებაჲ შენი განგვიწესა ეკლესიამან ქართველთამან.

წმიდაომღვდელთმთავაროიოსებ,ევედრეღმერთსაჩუენთჳს.

დაღაცათუ გვამი შენი საფლავმან შეიცვა, მამაო, არამედ განსაკრთომელნი სასწაულნი შენნი უმაღლეს საყვირისა ოხრიან, რომლითა სულნელ-ჰყოფ მორწმუნეთა ერსა, წმიდაო იოსებ, და განაბრწყინვებ ყოველთა ცისკიდეთა.

წმიდაომღვდელთმთავაროიოსებ,ევედრეღმერთსაჩუენთჳს.

ჰხედვიდენ რაჲ საღმრთოსა მას მოქალაქობასა შენსა და მდინარეთა უმდიდრესთა სწავლათა და ნიშთა და სასწაულთა დიდთა, შენ მიერ აღსრულებულთა, შემდგომად სიკუდილისა შენისა აღწერნეს მოწაფეთა შენთა და კეთილქებისა გალობითა გნატრიდენ შენ, ვითარცა ჭეშმარიტად ქრისტეს ახოვანსა მხედარსა.

,,დიდებაჲმამასადაძესადაწმიდასასულსა”.

რომელსა მოგიღებიეს ღმრთისაგან კადნიერებაჲ მეოხებად ჩუენდა, შეგვეწიე, რაჲთა წინააღმდგომთა მათ ჭეშმარიტებისათა ვძლევდეთ მართლითა სარწმუნოებითა და მარადის მოვიხვეჭდეთ განმარჯვებასა უხილავსა და ხილულსა მტერსა ზედა.

,,აწდამარადის, დაუკუნითიუკუნისამდე, ამინ”.

ძუელი შჯული მოგასწავებს, ქალწულო წმიდაო, და ახალი აღგიარებს ღმრთისმშობლად, უსძლოო, და ჩუენ მორწმუნენი სარწმუნოებით ვიტყჳთ: მშობელო სიტყჳსაო, ვედრებად ნუ დასცხრები ღმრთისა მიმართ მოსავთა შენთათჳს.

- შემდგომად`ადიდებდითსა~ (IX გალობისა):- ,,ღირსარსი~- არიგალობება.

`განმანათლებელი~: ნათელმან უსხეულომან განგანათლა შენ, ჳ, სასწაულთმოქმედო მამაო ჩუენო, იოსებ კათალიკოსო, და აღმოგაბრწყინვა რაჲ კახეთით, მოჰფინა შარავანდედი ქუეყანასა ამას ჩუენსა, ცოდვისა მიერ ბნელ-ქმნილსა, და ყოველი წყუდიადი ბნელისაჲ წარსდევნა, ხოლო ღუაწლი შენი, ვითარცა საუნჯჱ ოქროჲსა ბრწყინვალედ შეუმოსია ეკლესიასა ღმრთისასა და, ვითარცა გჳრგჳნი სამეუფოჲ, შემკული ბრწყინვალედ თუალთაგან მრავალსასყიდლისათა,

დაუდგამს თავსა თჳსსა, რაჲთა ჰნათობდეს ყოველთა, რომელნიცა სიხარულით შევლენან მას შინა. *(2-გ ზის).*

,,დიდებაჲმამასადაძესადაწმიდასასულსა, აწდამარადის, დაუკუნითიუკუნისამდე, ამინ.”.

ღმრთისმშობლად ჭეშმარიტად აღგიარებთ შენ, დედოფალო, შენ მიერ ცხოვნებულნი, რამეთუ ღმერთი ჰშევ გამოუთქმელად დამჴსნელ ჯუარითა სიკუდილისა და თჳსდა მიმართ მიმზიდველი ღირსთა კრებულისა, რომლისა თანა გაქებთ შენ, ქალწულო.

- **,,ყოველისული~- იგალობება**.

`აქებდითსა~ ზედა დასდებლები - **მუხლი 4. (აირჩიეთ ნებისმიერი- 4 მუხლი).**

დღესა ამას მორწმუნეთა სულიერისა ზეობისასა, დღესასწაულსა შენსა, წმიდაო მამათმთავარო იოსებ, შეგღაღადებთ: გიხაროდენ, ზეცისა კაცო და ქუეყანისა ანგელოზო; გიხაროდენ, მრავალთა გზასა ზედა ცხოვნებისასა დამაყენებელო; გიხაროდენ, მართალთა დიდებაო და ერისა ჩუენისა განმამტკიცებელო, მეოხ გუეყავ წინაშე ღმრთისა, რაჲთა მართლმადიდებელნი ერნი დაგვიცუნეს საეშმაკოთა ბადეთაგან და ანტიქრისტჱს ხიბლისაგან და მძლავრებისა.

მადლი ღმრთისაჲ მკჳდრ იყო რაჲ შენ თანა, სიბრძნით აღსავსჱ იქმენ შენ და ქადაგ ჴმა-მაღალ, მეტყუელ საიდუმლოთა მათ დაფარულთა, და საცთურისა ვერ დამთმენელი და ფრიად მოყუარჱ ერისა შენისაჲ, განსწავლიდი ყოველთა, რაჲთამცა არა მოიწიოს მათ ზედა სასჯელი ღმრთისაჲ. მას ევედრე აწ, სანატრელო, ყოვლისა სოფლისათჳს მშჳდობით დაცვაჲ და ერსა ჩუენსა _ ძლევაჲ და დამტკიცებაჲ მართლმადიდებლობისაჲ ქრისტჱს ღმრთისაგან, და სულთა ჩუენთა უხუად დიდი წყალობაჲ.

შური გაქუნდა შენ, წმიდაო, მართლისა სარწმუნოებისა და განვრცობისათჳს სიყუარულისა, და გვიჩვენე გზაჲ კეთილად მსახურებისაჲ. ხოლო აწ მტერნი იგი ჭეშმარიტებისანი იღუწიან, რაჲთა ქრისტჱსმოსახელე ერი ჩუენი შთასთხინნეს უფსკრულსა უმეცრებისასა და გარდასახნეს ერად ბნელისა, გარნა ჩუენ ვერცაღა ძალგვიძს წინააღმდგომად ბოროტისა, არამედ მოწყალე-ჰყავ ჩუენ ზედა მართლ-მსაჯული იგი უფალი, რაჲთა განვსძლიერდეთ და განვცხოველდეთ სულითა და ჴორცითა, და შემძლებელ ვიქმნეთ წინააღმდგომად ყოვლისა ბოროტისა.

ჱ, ნიჭთა შენთა მოცემულთა, სანატრელო, რომლისა მიერ ბოროტთა ეშმაკთა არცხვინე და დიდებაჲ ქრისტჱსი განაბრწყინვენ. და გამოსჩნდი კანონ

მონაზონთა და სიქადულ მართლმადიდებელთა, დამატკბობელ და ბრწყინვალე მნათობ ყოვლისა სოფლისა და უძლურთა უგამოცდილეს და პატიოსან მკურნალ, და განათლებული ხედევდი რაჲ მომავალთა, ყოველსა ყოფადმდე იტყოდი უბიწოებითა საღმრთოჲთა, აწცა დაუცხრომელად ევედრე ქრისტესა ღმერთსა, რომელნი სარწმუნოებითა და სიყუარულით პატივს-ვსცემთ მარადის სახარულევანსა და ყოვლადსანატრელსა ჴსენებასა შენსა.

გიხაროდენ, ჭეშმარიტთა ქრისტეანეთა სიქადულო და მოწესეთა სიხარულო, რომელსა გაქუს მადლი მორწმუნეთა შეწევნისა, აწ მოგუხედენ მაღლით, ღმერთშემოსილო იოსებ, და დააცხრვენ აღძრვანი უხილავთა და ხილულთა ვნებათანი, გარე-წარგუჴადენ განსაცდელნი და ეშმაკთა კუეთებანი, და შეწირე ვედრებაჲ ჩუენი დედასა თანა ღმრთისასა წინაშე ქრისტჱსსა თანაშეწევნითა ზეცისა მჴედრობათაჲთა და წინამორბედისა და იოანე ღმრთის-მეტყუელისათჲთა.

ვერ შემძლებელ-არს ენაჲ კაცობრივი მითხრობად ღუაწლთა შენთა, წმიდაო სათნოო ღმრთისაო იოსებ, რამეთუ განვლე სოფელი ესე ღირსად, დიდებულო, და აწ შუებასა სამოთხისასა შეერთებული, ანგელოზთა თანა იხარებ, და უკუნისამდე ჰსუფევ ქრისტჱს თანა, მას ევედრე აწ, რაჲთა ჩუენცა არა მივდრკეთ

უკუნისამდე მადლითა-ვე წმიდისა სამებისაჲთა და მეოხებითა ყოვლად წმიდისა დედოფლისა ღმრთისმშობელისაჲთა და სასოჲსა მის მფარველისა ჩუენისაჲთა.

საცნაურად ბრწყინვალე-იქმნა სახელი შენი ქართლოსიანთა შორის, ჰ, ყოვლადბრწყინვალეო ლამპარო და მწყემსო ქართველთა ერისაო, საკჳრველთმოქმედო მამაო იოსებ კათალიკოსო, რომელმან მხარჱ ესე კახეთისაჲ განანათლენ საკჳრველებითა და მარადის შეეწევი შენდა მომართ მჴურვალედ მოლტოლვილთა, დაუცხრომელად ევედრე აწ ქრისტესა ღმერთსა, რომელნი პატივს-ვსცემთ ყოვლადსანატრელსა ჴსენებასა შენსა, ჴსნად ყოველთაგან სენთა და სალმობათა.

შემოკრბით, ჰ, ერნო ქართველთანო, და შესხმითა სულიერითა უგალობდეთ წმიდასა და ახოვანსა ქრისტჱს მხედარსა, მამათმთავარსა იოსებსა, რომელი ფრიად დაშურა ერისა ჩუენისათჳს სულიერად წინაშე ღმრთისა, ჴსნად განსაცდელთაგან და განრინებად ყოვლისაგან ვნებისა და საცთურისა, და ვევედროთ, რაჲთა კუალად დაიფაროს მამული თჳსი _ საქართველო _ ყოვლისაგან ჭირისა და თანამბრძოლ გუეყოს ჩუენ მარადის წინააღმდგომად მბრძოლისა,

ჩუენ ზედა აღბორგებულისა და დაგვიცვას უცხო თესლთა ზედა მოსლვისაგან.

,,დიდებაჲმამასადაძესადაწმიდასასულსა”.

დავბეროთ საყჳრსა გალობათასა და განვსცხრებოდეთ და ვიშუებდეთ მოხარულნი ყოვლადწმიდასა შინა დღესასწაულსა წმიდისა იოსებ კათალისკოსისასა და ვაქებდეთ სანატრელსა მას, ვითარცა სწავლისა მდინარეთა აღმომდენთა ჩუენდა და უგალობდეთ: უძლურნი _ სენთა მკურნალსა, ხოლო ჭირვეულნი _ მჴსნელსა, შეცოდებულნი _ მჴურვალესა მეოხსა, მწუხარენი _ განმაცხრობელსა და მავალნი _ მოგზაურსა, მენავენი _ მმართებელსა და ყოველნი ყოვლით კერძო, ყოველთავე სასოსა სარწმუნოებით ვადიდებდეთ და ვიტყოდეთ: მეოხ-გუეყავ, ღმერთშემოსილო, რაჲთა ლოცვათა შენთა მიერითა თხოვითა შეგვჭურნეს ჩუენ უფალმან ღმერთმან ძალითა თჳსითა უძლეველითა, ყოველთა ხილულთა და უხილავთა მტერთა ჩუენთა ზედა და გუაცხოვნნეს ჩუენ. *(ჴმაჲ 6).*

,,აწდამარადის, დაუკუნითიუკუნისამდე, ამინ”.

ღმრთისმშობელო ქალწულო, შენ ხარ ვენახი ჭეშმარიტი, რომელმან გამოიღე ტევანი ცხორებისა, შენ

გევედრებით, მიმადლებულო, მოციქულთა თანა მეოხ მეყავ ცხორებისათჳს სულთა ჩუენთასა.

- **`დიდებამაღალიანი~** -იგალობება.

- **ტროპარიმღვდელმთავრისა:**,,კანონად სარწმუნოებისა და ხატად სიმშჳდისა და მოძღურად მარხვისა გყო შენ ქრისტემან სამწყსოსა შენისათჳს ჭეშმარიტებით, ამისთჳსცა მოიგე სიმდაბლითა სიმაღლე და სიგლახაკითა სიმდიდრე, წმიდაო მღდელმთავარო იოსებ, ევედრე ქრისტესა ღმერთსა შეწყალებად სულთა ჩუენთათჳს.

- **`დიდება~ `აწდა~- ღმრთისმშობლისა,,აღდგომისგანსატევებელი~**(ტროპარი ხმის მიხედვით): - რომელი საუკუნითგან დაფარულ-იყო, და ანგელოზთაგან უცნაურ საიდუმლო, ღმრთისმშობელო, შენ მიერ კაცთა გამოეცხადა, ღმერთი შეურევნელად შენგან განჴორციელდა, ჯუარცმაჲ ნებსით თავს იდუა, რომლისათჳსცა აღადგინა პირველდაძინებულნი, და იჴსნა მან სიკუდილისაგან სულნი ჩუენნი.

I, III და VI ჟამნებზე:

- **ტროპარი:** მღვდელმთავრისა.

- **კონდაკი:** მღვდელმთავრისა.

წმ.იოანეოქროპირის

საღმრთოლიტურგია:

- **`**გამომსახველობითიანტიფონები~ - **,,**ნეტარებების~- გალობისას ჩაერთვის

`მომიხსენენი~- **8** მუხლად:

- მღვდელმთავრის**III** გალობიდან - **4**მუხლი (ძლისპირით).

- მღვდელმთავრის **VI** გალობიდან - **4**მუხლი, თავისი **,,**დიდება~ **,,**აწდა~ - თი.

სამოციქულო- წმ. - ებრ. 318 დას. VII,26 - VIII, 2.

სახარება - ინ. 36 დას. X, 9-16.

შესვლად.

ტროპარი - მღვდელმთავრისა

კონდაკები- ,,დიდება~- მღვდელმთავრისა

,,აწდა~ - ,,სასოო და შესავედრებელო...~

,,წარდგომა~: ,პირი ჩემი იტყოდეს სიბრძნესა, და ზრახვანი გულისა ჩემისანი გულის-ხმის ყოფასა~.*(ᲮმაᲝ1).*

მუხლი. ,,ისმინეთ ესე ყოველთა წარმართთა და ყურად იღეთ ყოველთა,რომელნი

დამკვიდრებულ-ხართ სოფელსა“.

,,ალილუია~:,,პირმან მართლისამან იწვართოს სიბრძნე~.*(კმაჲ2).*

მუხლი. ,,შჯული ღმრთისა მისისაარს გულსა შინა მისსა ა არა შეუბრკუმენ სლვანი მისნი~.

განიცადე: ,,საკსენებელად საუკუნოდ იყოს მართალი ჰამბავისაგან ბოროტისა არა ეშინოდის~

სადღესასწაულოწეს-
განგებაშეადგინა:თინათინმჭედლიშვილმა.

A
Ω